დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნას

ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) ინგლისურენოვანი

სამაგისტრო პროგრამა

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

14.09.2022

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი **დავით**

გვარი **სიხარულიძე**

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) (ინგლისურენოვანი)
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მეშვიდე
4	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
7	სწავლების ენა	ინგლისური
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი[5]	საქართველო, 0102, თბილისი, პაატა სააკაძის #1

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 27.07.2021 №746557
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	27.07.2021
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	ერთი წელი 27.07.2022
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31.12.2024

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდებულია საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოახდინოს კონცენტრაციის მიხედვით სწავლის შედეგების ფორმულირება და მისი ასახვა პროგრამის სწავლის შედეგებში;
2. რეკომენდებულია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოახდინოს კონცენტრაციების კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში განახლდეს ძირითადი ლიტერატურა, ასევე, გათვალისწინებულ იქნას დამხმარე წყაროები;
4. რეკომენდებულია გაიმიჯნოს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის სასწავლო კურსებში ძირითადი ლიტერატურა. შესაბამისად, შერჩეულ იქნას მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისათვის შესაბამისი სახელმძღვანელოები;
5. რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები და ქულების ჯამი;
6. რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობის გაძლიერება;
7. რეკომენდირებულია გაძლიერდეს აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობა პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ „ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

აკრედიტაცია, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 27.07.2021. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2022 წლის 27 ივლისი.

დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაციები. კერძოდ ჩატარდა შეხვედრები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ ბიზნესის სკოლის დეკანი, საბაკალავრო პროგრამის დირექტორი), პროგრამის ხელმძღვანელი, თანა ხელმღვანელი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, და ბიბლიოთეკის თანამშრომლები.

რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით სამუშაო ჯგუფმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაში დაიხვეწა სწავლის შედეგები, განახლდა ლიტერატურა, გაუმჯობესდა სასწავლო კურსების შეფასების სისტემა, აკად პერსონალის სამეცნიერო აქტივობების გაძლიერების მიზნით განხორციელდა რიგი ღონისძიებები და პროგრამაში არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით შეიქმნა სწავლების უზრუნველყოფის საბჭო.

რჩევ(ებ)ი[8]

- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში და სამაგისტრო პროგრამაში აღინიშნოს, რომ სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი უნდა შესრულდეს შესაბამისი კონცენტრაციის (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) სფეროში;
- სასურველია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულებისთვის კურიკულუმში გათვალისწინებულ იქნას 30 (ECTS) კრედიტიანი კვლევის შესრულებისთვის და ნაშრომის/პროექტის სწავლის შედეგების მიღწევისთვის ადეკვატური დროითი პერიოდი;
- სასურველია, რომ აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში საჭიროების შემთხვევაში ჰყავდეს ერთი ან მეტი თანა ხელმძღვანელი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

- რჩევები მეტწილად გათვალისწინებულია

---

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
კომპონენტის დასახელება[13]	1.2 **პროგრამის სწავლის შედეგები**
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდებულია საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოახდინოს კონცენტრაციის მიხედვით სწავლის შედეგების ფორმულირება და მისი ასახვა პროგრამის სწავლის შედეგებში
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია, პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგების ფორმულირებისას გათვალისწინებული მარკეტინგის, მენეჯმენტის ფინანსების კონცენტრაციები, რაც სტუდენტისათვის მეტად ცხადი იქნება თუ რა უნარებს დაეუფლება პროგრამის დასრულების შემდეგ ბიზნესის თითოეული სფეროს მიხედვით.
რჩევა[15] I	სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში და სამაგისტრო პროგრამაში აღინიშნოს, რომ სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი უნდა შესრულდეს შესაბამისი კონცენტრაციის (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) სფეროში
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ. კერძოდ, სამაგისტრო პროგრამაში დაფიქსირდა შემდეგი ჩანაწერი: ,,სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის თემატიკა შერჩეული უნდა იყოს კონცენტრაციის თემატიკის შესაბამისად“.. გვ.2. ხოლო სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში ვკითხულობთ: ,, ნაშრომი უნდა

პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	ასახავდეს აკადემიური სწავლების პროცესში სტუდენტის მიერ მიღებულ ცოდნას, შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის მოთხოვნებთან და ის უნდა ეხებოდეს კონკრეტულ ბიზნესის სფეროს საკითხს სტუდენტის მიერ არჩეული კონცენტრაციის მიხედვით (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) ან ემპირიულ კვლევაზე დაფუძნებულ ნაშრომს ასევე სტუდენტის მიერ არჩეული კონცენტრაციის შესაბამისად“
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა • სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი • მაგისტრატურის დებულება

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**
რეკომენდაცია II[16]	რეკომენდებულია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოახდინოს კონცენტრაციების კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით.
შეფასება	რეკომენდაცია გათვალისწინებულია, ვინაიდან დაწესებულებამ განახორციელა პროგრამის სტრუქტურაში ცვლილებები სწავლის სფეროს კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მე-6 მუხლის მიხედვით უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს. ცვლილებების შედეგად სტრუქტურა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები 60 კრედიტი, კონცენტრაციის სასწავლო კომპონენტი 30 კრედიტი და კონცენტრაციის მიხედვით სამაგისტრო ნაშრომის მომზადება 30 კრედიტი. კრედიტების აღნიშნული განაწილება შეესაბამება სწავლის სფეროს კლასიფიკატორს.
რჩევა[17] II	
შეფასება	

[16] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[17] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.3. სასწავლო კურსი**
რეკომენდაცია II[18]	რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში განახლდეს ძირითადი ლიტერატურა, ასევე, გათვალისწინებულ იქნას დამხმარე წყაროები.
შეფასება	რეკომენდაცია გათვალისწინებულია, ვინაიდან მოხდა რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში ლიტერატურის განახლება. კერძოდ განახლდა შემდეგი სასწავლო კურსების ლიტერატურა: • **ფინანსური აღრიცხვა ფინანსური გადაწყვეტილებისათვის**" - Fundamental Accounting Principles; 24 the edition; John J. Wild, Ken W. Shaw; 2019; • **"ლიდერობა"** - Leadership - Theory, and Practice- Peter G. Northouse, 8th Edition, 2019 • **"ბიზნესის მოდელირება"** - Anderson, Sweeney: Introduction to Management • Science-Cengage Learning, 15 edition-2019 • **ადამიანური რესურსების მენეჯმენტი"-** Human resource Managment - Valentine, Meglich, Mathis, Jackson - Sixteenth Edition. (Cengage Learning) 2019; • **"ინოვაციების მართვა"** 4 Lenses of Innovation, Rowan Gibson, Wiley, 2015; Creative Confidence: Unleashing the Creative Potential Within Us All. (William Collins Books) 2015 და Designing Experiences (Columbia Business School Publishing) 2019
რჩევა[19] II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• სასწავლო კურსების სილაბუსები

[18] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[19] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.3. სასწავლო კურსი**
რეკომენდაცია II[20]	რეკომენდებულია გაიმიჯნოს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის სასწავლო კურსებში ძირითადი ლიტერატურა. შესაბამისად, შერჩეულ იქნას მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისათვის შესაბამისი სახელმძღვანელოები.
შეფასება	რეკომენდაცია გათვალისწინებულია, ვინაიდან რიგ სასწავლო კურსებში განახლდა ლიტერატურა და მოვიდა სამაგისტრო საფეხურთან შესაბამისობაში. კერძოდ განახლდა შემდეგი სასწავლო კურსების ლიტერატურა: • **ლიდერობა** - Leadership - Theory, and Practice- Peter G. Northouse, 8th Edition, 2019. • **გლობალური პორტფელის" მენეჯმენტი** Investment Analysis and Portfolio Management, 7th edition, by Reilly, F.K., and K.C. Brown (RB), Investment analysis (3rd Edition), Gareth D. Myles (GM); Investments 11th Edition Zvi Bodie, Alex Kane, Alan J. Markus (BKM), 2018. • **საგადასახადო საქმე"** - Tax Code of Georgia" as of February 16, 2022. Order of the Minister of Finance of Georgia on the application of income tax special regimes #999 " და "Law of Georgia on Funded Pensions". • **სტრატეგიული მენეჯმენტი"** Strategic Management (competetivness and Globalization) concepts and cases , 12 Thedition, 2017 Michael Hitt, Duanne Ireland, Rober Hoskison
რჩევა[21] II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• სასწავლო კურსის სილაბუსები

[20] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[21] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**
რეკომენდაცია II[22]	
შეფასება	
რჩევა[23] II	სასურველია სამაგისტრო ნაშრომის /პროექტის შესრულებისთვის კურიკულუმში გათვალისწინებულ იქნას 30 (ECTS) კრედიტიანი კვლევის შესრულებისთვის და ნაშრომის/პროექტის სწავლის შედეგების მიღწევისთვის ადეკვატური დროითი პერიოდი.
შეფასება	დაწესებულება აღნიშნავს, რომ ,,სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად სტუდენტს ესაჭიროება იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიღება, რაც უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომის /პროექტის მონახაზის ფორმირებას. სწავლის განმავლობაში სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა მიიღოს მსგავსი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რის შემდეგაც მას ექმნება ჩამოყალიბებული შეხედულება სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესახებ. დაწესებულება ასევე აღნიშნავს, რომ საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ერთი აკადემიური წელი (სამი სემესტრი) სრულიად საკმარისია სამაგისტრო ნაშრომის მოსამზადებლად.
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა • სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

[22] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[23] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

კომპონენტის დასახელება	**2.6. სტუდენტების შეფასება**
რეკომენდაცია II[24]	რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები და ქულების ჯამი.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები დაიხვეწა და ქულების ჯამი გამოსწორდა. კერძოდ შეფასების კრიტერიუმები გამოსწორდა შემდეგი სასწავლო კურსების სილბუსებში: **„მარკეტინგის მენეჯმენტი“** და **„ფინანსური დაგეგმვა** და **ბიუჯეტირება“** .
რჩევა[25] II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• სასწავლო კურსის სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფ**
კომპონენტის დასახელება	**4.1 ადამიანური რესურსი**
რეკომენდაცია II[26]	რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობის გაძლიერება.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. ვინაიდან დაწესებულებამ შეიმუშავა ახალი ტიპის სახელშეკრულებო სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს აკადემიური პერსონალის ჩართულობის გაძლიერებას. შესაბამისად გააქტიურდა აკად პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა და ორი სახელმძღვანელოს გამოქვეყნება, მომზადდა ორი პროექტი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისათვის და გამოქვეყნდა ორი სტატია 2020-2021 წლებში.
რჩევა[27] II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• 2020-2021 აკადემიური წლის-სტრატეგიული ამოცანების შესრულების მაჩვენებლების ანგარიში;

[24] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[25] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[26] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[27] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	• აკადემიური პერსონალის კვლევით აქტივობებში ჩართულობის ანგარიში.

სტანდარტის დასახელება	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**
კომპონენტის დასახელება	**5.1 შიდა ხარისხის შეფასება**
რეკომენდაცია II[28]	რეკომენდებულია გაძლიერდეს აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობა პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია, ვინაიდან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიერა აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობა. ამ მიზნით 2021 წლის გაზაფხულზე შეიქმნა სწავლების უზრუნველყოფის საბჭო, რომლის წევრებიც არიან სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალი. საბჭოს ფარგლებში მიმდინარეობდა წავლების კომპონენტის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა და დახვეწა; განხორციელდა იმ საგნების იდენტიფიცირება, რომელთა შეფასების კრიტერიუმებზე მოხდა დაკვირვება 2020-21 და 2021-22 სასწავლო წლებში. მიღებული შედეგების შესაბამისად და კურსის აკადემიურ პერსონალთან ერთად ხდება კურსების სილაბუსების და სწავლის შედეგების გადახედვა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი კორექტირება.
რჩევა[29] II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• სწავლების უზრუნველყოფის საბჭოს დებულება • კავკასიის ბიზნესის სკოლის სწავლების უზრუნველყოფის პროცესი: 2019-2023. • საბჭოს შეხვედრების ოქმები

[28] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[29] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

თანდართული დოკუმენტაცია[30]

- ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა - ინგლისურ და ქართულ ენაზე
- მაგისტრატურის დებულება
- 2020-2021 აკადემიური წლის სტრატეგიული ამოცანების შესრულების მაჩვენებლების
- ანგარიში
- CSB პუბლიკაციების სია
- სამაგისტრო ნაშრომის სახელმძღვანელო - ინგლისურ და ქართულ ენაზე
- სწავლების უზრუნველყოფის საბჭოს შეხვედრა 23.03.2022 თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა
- სწავლების უზრუნველყოფის საბჭოს 2020-2021 აკადემიური წლის შემაჯამებელი შეხვედრა
- კავკასიის ბიზნესის სკოლის სწავლების უზრუნველყოფის პროცესი: 2019-2023- სწავლების უზრუნველყოფის პროცესის ეტაპობრივი აღწერა
- სასწავლო კურსების სილაბუსები- ინგლისურ და ქართულ ენაზე

- გლობალური პორტფელის მენეჯმენტი
- ლიდერობა
- სტრატეგიული მენეჯმენტი
- სისტემების და ოპერაციების მენეჯმენტი
- ადამიანური რესურსების მენეჯმენტი
- საგადასახადო საქმე
- ბიზნესის მოდელირება
- ფინანსური აღრიცხვა ფინანსური გადაწყვეტილებებისთვის
- ინოვაციების მართვა
- სემინარი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში
- სამაგისტრო ნაშრომი

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი_MBA

ექსპერტის ხელმოწერა

[30] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა